სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №19

ქ. ზუგდიდი **2023 წელი**

ერთი მხრივ, **სსიპ ქალაქ ზუგდიდის №8 საჯარო სკოლა** (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **ირმა ქობალიას** სახით და მეორე მხრივ, ი/მ **„ანზორ ქვაცაბაია“** (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ანზორ ქვაცაბაიას** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მესამე მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, ასევე იმ დოკუმენტებით, რომლებზედაც წინამდებარე ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 სანიტარულ-ჰიგიენური პროდუქციის შესყიდვა.

CPV კოდი:

- **19600000 –** ტყავის, ტექსტელის, რეზინისა და პლასტმასის ნარჩენი – 38,40 (ოცდათვრამეტი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი;
- **24300000 –** ძირითადი არაორგანული და ორგანული ქიმიკატები – 24,00 (ოცდაოთხი ლარი და ნული თეთრი) ლარი;
- **33700000 –** პირადი ჰიგიენის საშუალებები – 273,40 (ორასსამოცდაცამეტი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი;
- **39800000 –** საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია – 108,10 (ასრვა ლარი დაათი თეთრი) ლარი;

2.2. მოსაწოდებელი საქონლის დასახელება, აღწერილობა და რაოდენობა განისაზღვრება დანართის (ტექნიკური დავალება-ფასების ცხრილი) შესაბამისად, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **443,90** (ოთხას ორმოცდასამი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. მოსაწოდებელი საქონლის ერთეულის და საერთო ფასი მოცემულია „ტექნიკური დავალება–ფასების ცხრილში“, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს მოწოდებული საქონლის ხარისხის და რაოდენობის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე. ასეთი საჭიროების შემთხვევაში, ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ ქალაქ ზუგდიდის №8 საჯარო სკოლის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი **ლეილა მალანია.**

5.შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი:

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტი მხარეთა შორის გაფორმდება შესყიდვის ობიექტის მოწოდების შემდეგ, ეტაპობრივად, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე. შემსყიდველი უფლებამოსილია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება განახორციელოს მის მიერ განსაზღვრული პასუხისმგებელი პირ(ებ)ის ჩატარებული ინსპექტირების შედეგად შედგენილი დასკვნის საფუძველზე.

6.ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

6.1.1.ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

6.1.2. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

6.2. ფაქტობრივად მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებისა და ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე, დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

7.1. საქონლის მოწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7.2. შესყიდვის ობიექტის მოწოდების პუნქტად განსაზღვრულია მიმწოდებლის ოფისი, შემდეგ მისამართზე: **ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N96.**

7.3. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს შესყიდვის ობიექტის მოწოდების პირობებში ცვლილებები ურთიერთშეთანხმების გარეშე.

8.მხარეთა ვალდებულებები

8.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

8.1.1. გადასცეს შემსყიდველს ხარისხისიანი, უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

8.1.2. უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ ჩატარებული შესყიდვის ობიექტის ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნივთობრივი ნაკლის აღმოფხვრა, მათ შორის წუნდებული საქონლის შეცვლა ახლით, საკუთარი ხარჯით, ასეთი ნაკლის აღმოჩენიდან შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში.

8.1.3. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

8.1.4. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

8.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

8.2.1. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად უზრუნველყოს ფაქტობრივად მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება;

8.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს შესაძლოა დაეკისროს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზით ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ვადაგადაცილებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ცვლილება დაიშვება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%–ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმებით, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

11.ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა

11.1ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარის პასუხისმგებლობას თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია შესრულების შეუძლებლობით (ფორს-მაჟორი).

11.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის შესრულების შეუძლებლობად (ფორს-მაჟორი) მიიჩნევა მხარეებისათვის წინასწარ უცნობი, გადაულახავი დამათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით, საქონლის მიწოდება ზეემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე მეორე მხარისაგან გონივრულ ვადაში არ მიიღებს წერილობით პასუხს, იგი ვალდებულია გააგრძელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შესაძლებლობის ფარგლებში,

შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით.

11.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულება დადებულია და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოშობილი დავები გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.

12.3. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 1 ოქტომბრამდე.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, მხარეთა მიერ ხელმოწერილია ელექტრონულად, რომელსაც აქვს იურიდიული ძალა.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ ქალაქ ზუგდიდის N8 საჯარო სკოლა საიდენტიფიკაციო კოდი:219986629 მისამართი: ზუგდიდი, პუშკინის ქ.N157 საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი:LBRTGE22 ანგ: №GE84LB0121148151852000 ტელ: 591 05 30 22 ელ: ფოსტა: publicschool8@gmail.com ---------- ირმა ქობალია	ი/მ „ ანზორ ქვაცაბაია“ ს/კ:6200602279 მისამართი: ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N96 საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგ: № GE80BG0000000123886800 ტელ: 599 15 40 36 ელ:ფოსტა: aqvacabaia69@gmail.com Anzor Kvatsabaia Подписано цифровой подписью: Anzor Kvatsabaia Дата: 2023.06.16 12:25:46 +04'00' ანზორ ქვაცაბაია

დანართი N1

N	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	CPV კოდი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	Z-ზეტ ხელსახოცი	ცალი	33764000	75	2,50	187,50
2	ტუალეტის ქაღალდი (ელფი) 40ც	ცალი	33761000	80	0,47	37,60
3	ხელის თხევადი საპონი 3,6 ლ	ცალი	33711900	7	6,90	48,30
4	დომესტოზი	ცალი	39830000	12	3.45	41,40
5	უნივერსალური სიფ კრემი 500 გრ	ცალი	39830000	6	3,25	19,50
6	შუშის სამწენდი სითხე 500ml	ცალი	39830000	10	1,65	16,50
7	ჭურჭლის სარეცხი ჟელე (მწვანე)	ცალი	39832100	12	1,10	13,20
8	ნაგვის პარკი პატარა (35ც) სქელი	ცალი	19640000	16	2,40	38,40
9	ქლორი (თოლია)	ცალი	24311900	15	1,60	24,00
10	მჟავა იეტიში	ცალი	39830000	10	1,75	17,50
	ჯამი					**443,90**

შესყიდვის CPV კოდი:

19600000 - 38,40 (ოცდათვრამეტი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი;
24300000 - 24,00 (ოცდაოთხი);
33700000 – 273,40 (ორასსამოცდაცამეტი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი;
39800000 – 108,10 (ასრვა ლარი და ათი თეთრი) ლარი.

შემსყიდველი: სსიპ ქალაქ ზუგდიდის №8 საჯარო სკოლა

დირექტორის მ/შ: ირმა ქობალია

მიმწოდებელი: ი/მ „ანზორ ქვაცაბაია“

დირექტორი: ანზორ ქვაცაბაია

Anzor Kvatsabaia

Подписано цифровой подписью: Anzor Kvatsabaia
Дата: 2023.06.16 12:27:09 +04'00'